

EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

Geo: დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის ([www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)) მიერ. თარგმანის ხელახალი გამოქვეყნების ნებართვა გაცემულია მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში განთავსების მიზნით.

Eng: The document was provided by the Supreme Court of Georgia, Human Rights Centre of the Analytical Department ([www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)). Permission to re-publish this translation has been granted for the sole purpose of its inclusion in the European Court of Human Rights' database HUDOC.

**ხავშაბოვა საქართველოს წინააღმდეგ**


**KHAVSHABOVA V. GEORGIA**

(საჩივარი N26134/19)

**29.06.2023**

## **ფაქტები**

წინამდებარე საჩივარი ეხება მომჩივნის დამნაშავედ ცნობას ფიზიკური ძალადობის გამო, დაზარალებულისა და ბრალდების სამი მოწმის ჩვენებების საფუძველზე, რომელთა სასამართლოში დაკითხვის უფლება მომჩივანს არ მიეცა. აღსანიშნავია, რომ ბრალდების ორი მოწმე დაკითხულ იქნა გამომძიებლის მიერ წინასასამართლო სხდომის ეტაპზე, დაცვის მხარის დაუსწრებლად. რაც შეეხება დაზარალებულსა და ბრალდების მესამე მოწმეს, ისინი დაკითხულ იქნენ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსკ) 114-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, მაგისტრატი მოსამართლის თანდასწრებითა და იურიდიული დახმარების პროგრამის ფარგლებში დანიშნული ადვოკატის მონაწილეობით. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ იგი არ ყოფილა ინფორმირებული ზემოხსენებული მოწმეების დაკითხვის თაობაზე და არ ჰქონდა ინფორმაცია, რომ სამართალწარმოებაში მისი სახელით იურიდიული დახმარების ფარგლებში დანიშნული ადვოკატი მონაწილეობდა. პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოებმა მომჩივანი გაამართლეს და მიიჩნიეს, *inter alia* [მათ შორის], რომ მათ არ შეეძლოთ თავიანთი გადაწყვეტილებების მხოლოდ იმ მოწმეთა ჩვენებებზე დაფუძნება, რომლებიც სასამართლოში



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

არ დაუკითხავთ. 2018 წლის 30 ნოემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა მომჩივნის გამამართლებელი განაჩენი, იგი დამნაშავედ ცნო ფიზიკური ძალადობის გამო და დააკისრა ჯარიმის გადახდა 500 ლარის (GEL) ოდენობით. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაზარალებული და ბრალდების მხარის მესამე მოწმე დაკითხეს მაგისტრატი მოსამართლის თანდასწრებით და იურიდიული დახმარების ფარგლებში დანიშნული ადვოკატის მონაწილეობით, რომელიც მომჩივანს წარმოადგენდა. აღნიშნული პროცედურა განხორციელდა სსკ-ის 114-ე მუხლის საფუძველზე, შესაბამისად, დაკითხვის შედეგად მიღებული ჩვენებები, სხვა ირიბ მტკიცებულებებთან ერთად, საკმარისი იყო მომჩივნის ბრალეულობის დასამტკიცებლად.

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ და მე-3 პუნქტის (ვ) და (დ) ქვეპუნქტების საფუძველზე, მომჩივანი დავობს მის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის სამართალწარმოების უსამართლობაზე. კერძოდ, იგი დავობს, რომ დამნაშავედ ცნეს დაზარალებულისა და ბრალდების იმ სამი მოწმის ჩვენებების საფუძველზე, რომლებიც არ დაუკითხავთ სასამართლო პროცესზე. ამასთან, მომჩივანი ამტკიცებს, რომ დაზარალებულის და ბრალდების მოწმეების დაკითხვა იმ ადვოკატის მონაწილეობით განხორციელდა, რომელიც მას დაუნიშნეს მისი თანხმობის, თუ მის მიერ ამ ინფორმაციის ცოდნის გარეშე.

სამართალი


I. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი და მე-3 პუნქტის (ვ) და (დ) ქვეპუნქტების სავარაუდო დარღვევა

4. მომჩივანი დავობდა, რომ მის წინააღმდეგ განხორციელებული სისხლის სამართლის სამართალწარმოება უსამართლო იყო. კერძოდ, მისი მტკიცებით, წინასწარი გამოძიების ეტაპზე, ბრალდების ორი მთავარი მოწმე დაკითხეს მის დაუსწრებლად, იურიდიული დახმარების ფარგლებში დანიშნული ადვოკატის მონაწილეობით, რომელიც დაინიშნა ისე რომ მომჩივანმა არაფერი იცოდა იმის შესახებ, რომ ეს მოწმეები არ დაუკითხავთ სასამართლო პროცესზე; და რომ მისი დამნაშავედ ცნობა ძირითადად ხსენებული ბრალდების ორი მოწმის მტკიცებულების საფუძველზე მოხდა. მომჩივანი დაეყრდნო კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ ნაწილს და მე-3 პუნქტის (ვ) და (დ) ქვეპუნქტებს, რომელთა რელევანტური ნაწილებია:

„1. ყოველი ადამიანი ... მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია ... მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლებით ... სასამართლოს მიერ ...

...

3. ყოველ ბრალდებულს აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

...

ც. დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით ხაზინის ხარჯზე, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები;

დ. თვითონ დაკითხოს ან დააკითხინოს მისი ბრალდების მოწმეები, და გამოამახეზინოს და დააკითხინოს მისი დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში;

...“


**A. დასაშვებობა**

25. მთავრობამ განაცხადა, რომ საჩივარი კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი და მე-3 პუნქტის (ვ) და (დ) ქვეპუნქტების საფუძველზე, იურიდიულ წარმომადგენლობასთან დაკავშირებით დაუშვებელი იყო შიდასამართლებრივი საშუალებების ამოუწურაობის გამო, ვინაიდან მომჩივანმა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში არ წამოიწყო დისციპლინური სამართალწარმოება ბ.ბ.-ის წინააღმდეგ. მეორეს მხრივ, მათ მიუთითეს, რომ ეს საჩივარი აშკარად დაუსაბუთებელი იყო. მომჩივანი ამ არგუმენტებს არ დაეთანხმა.

26. რაც შეეხება მთავრობის შუამდგომლობას შიდასამართლებრივი საშუალებების ამოუწურაობასთან დაკავშირებით, ევროსასამართლო აღნიშნავს: მომჩივანი მთელი პროცესის განმავლობაში აცხადებდა, რომ მან არ იცოდა ბ.ბ.-ის დანიშვნის თაობაზე და რომ არ ყოფილა ინფორმირებული 2016 წლის 4 ივლისს გამართულ მოწმეთა დაკითხვის პროცესში მისი მონაწილეობის თაობაზე. ამრიგად, მომჩივანი ეროვნული სასამართლოების წინაშე დავობდა სამართალწარმოების უსამართლობას. დამოუკიდებელი სამართალწარმოების წამოწყება ბ.ბ.-ს მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების მოთხოვნით, ვერ შეძლებდა იმ სიტუაციის გამოსწორებას, რაზეც მომჩივანი დავობდა.

27. ამასთან, ევროსასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივარმა წამოჭრა ფაქტებისა და სამართლის კომპლექსური საკითხები, რომლებიც შეუძლებელია დადგინდეს არსებითი მხარის განხილვის გარეშე. ევროსასამართლო ადგენს, რომ საჩივარი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის (ა) ქვეპუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში არ არის არც აშკარად დაუსაბუთებელი და არც მიუღებელია რაიმე სხვა საფუძველით. შესაბამისად, საჩივარი დასაშვებად უნდა გამოცხადდეს.

**B. არსებითი მხარე**



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME


28. ევროსასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები მიჩნეული უნდა იყოს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული საქმის სამართლიანი განხილვის უფლების განსაკუთრებულ ასპექტებად. ევროსასამართლო ამ ორი დებულების საფუძველზე, მთლიანობაში მიმოიხილავს მომჩივანის თითოეულ საჩივარს (სხვებთან ერთად, იხილეთ *Schatschaschwili v. Germany* [GC], no. 9154/10, § 100, ECHR 2015, და *Idalov v. Russia* [GC], no. 5826/03, § 169, 22 May 2012) და შემდეგ განაგრძობს მომჩივანის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის სამართალწარმოების სამართლიანობაზე მათი გავლენის შეფასებას.

1. ადვოკატის ყოლის უფლების სავარაუდო შეზღუდვა

(a) მხარეთა წარდგინებები

მომჩივანი ამტკიცებდა, რომ იგი სათანადოდ არ ყოფილა ინფორმირებული იურიდიული დახმარების ფარგლებში, მეორე ადვოკატის, ბ.ბ.-ის დანიშვნის შესახებ. ამასთან იგი აცხადებდა, რომ არ ყოფილა ინფორმირებული 2016 წლის 4 აგვისტოს ჩატარებული დაკითხვის პროცედურის თაობაზე და რომ ბ.ბ. მას არასდროს დაკავშირებია. მომჩივანმა წარმოადგინა ინფორმაცია 2016 წლის 26 ივლისსა და 5 აგვისტოს შუალედში მის მობილურ ტელეფონზე შემავალი და გამავალი ზარების თაობაზე და წარმოადგინა ბ.ბ.-ს მობილური ტელეფონის ოფიციალური ნომერი. მომჩივანმა აღნიშნა, რომ ბ.ბ. მას არასდროს დაკონტაქტებია.

30. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივანმა თავად გამოხატა ნებაყოფლობითი თანხმობა იურიდიული დახმარების ფარგლებში ადვოკატის დანიშვნის თაობაზე; რომ ისინი მომჩივანის ინტერესს იცავდნენ წინასწარი გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის მთელი პერიოდის განმავლობაში, იმ მომენტამდე, სანამ მან არ გადაწყვიტა კერძო ადვოკატის დაქირავება; და რომ მომჩივანს ეროვნულ სასამართლოებში არ უდავია იურიდიული მომსახურების ხარისხზე. რაც შეეხება მეორე ადვოკატის, ბ.ბ.-ს დანიშვნას, მთავრობამ განაცხადა, რომ იურიდიული დახმარების სამსახურის დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ერთ საქმეზე ერთდროულად ორი ადვოკატი ინიშნებოდა, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო მოქნილი და შეუფერხებელი სამართალწარმოება, იმ შემთხვევაში თუ პირველი ადვოკატი ვერ შეძლებდა გარკვეულ საგამომძიებო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას. ამგვარად, ბ.ბ. მოქმედებებს მომჩივანის სახელით ახორციელებდა, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხვის პროცედურაში. მთავრობამ განაცხადა, რომ მაგისტრატი მოსამართლე არ მისცემდა ბ.ბ.-ს მომჩივანის სახელით მოქმედების განხორციელების უფლებამოსილებას, თუ იგი სათანადოდ არ იქნებოდა დანიშნული იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ.



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

31. არგუმენტის გასამყარებლად, მთავრობამ წარმოადგინა 2022 წლის 18 დეკემბრით დათარიღებული შესაბამისი რეგიონის იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებითი ბარათი, რომელიც შეიცავდა დეტალებს იმ გარემოებების თაობაზე, რომელთა საფუძველზე ლ.რ. დანიშნა მომჩივანის საქმეზე. რაც შეეხება 2016 წლის 4 აგვისტოს გამართულ მოწმეთა დაკითხვას, განმარტებითი ბარათის მიხედვით, ბ.ბ.-მ ხსენებულ დაკითხვაში მონაწილეობა მიიღო ლ.რ.-ს თხოვნით, ვინაიდან ეს უკანასკნელი, იმ დროს სხვა სასამართლო განხილვას ესწრებოდა.

32. და ბოლოს, მთავრობის განცხადებით, იმ შემთხვევაშიც კი თუ იურიდიული დახმარების ფარგლებში დანიშნული ადვოკატის ქმედებები არასაკმარისად იქნებოდა მიჩნეული, სახელმწიფო ვერ იქნებოდა პასუხისმგებელი ბრალდებულისა და ადვოკატის პირადი ურთიერთობის გამო, მიუხედავად იმისა ეს უკანასკნელი დანიშნული იქნებოდა იურიდიული დახმარების პროგრამის ფარგლებში თუ დამოუკიდებლად იქნებოდა დაქირავებული.


**(b) ევროსასამართლოს შეფასება**

*(i) ზოგადი პრინციპები*

33. ადვოკატის ყოლის უფლების შეზღუდვისას გამოსაყენებელი შესაბამისი ზოგადი პრინციპები და პრინციპები, რომლებიც ეხება სამართლიან სამართალწარმოებას, ევროსასამართლომ განმარტა საქმეებში (*Ibrahim and Others v. the United Kingdom* ([GC], nos. 50541/08, 505571/08, 50573/08 and 40351/09, §§ 257-65, 13 September 2016), *Dvorski v. Croatia* ([GC], no. 25703/11, §§ 76-82, ECHR 2015, and *Croissant v. Germany*, 25 September 1992, § 29-, Series A no. 237-B) and *Simeonovi v. Bulgaria* ([GC], no. 21980/04, §§ 112-20, 12 May 2017, with further references); it confirmed those principles recently in *Beuze v. Belgium* ([GC], no. 71409/10, §§ 119-50, 9 November 2018) და საქმეში *Atristain Gorosabel v. Spain* (no. 15508/15, §§ 41-45, 18 January 2022).

*(ii) შემოაღნიშნული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში*

34. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანმა ხელი მოაწერა მის მიმართ ბრალის წაყენების საპროცესო გადაწყვეტილებას და რომ ეს დოკუმენტი, სხვა საკითხებთან ერთად, მას აწვდიდა ინფორმაციას იურიდიული დახმარების მიღების უფლებაზე (იხ. ზემოთ პარაგრაფები 8-9). აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც ასევე ხელმოწერილი იყო ლ.რ.-ს, იურიდიული დახმარების ფარგლებში მომჩივანისათვის დანიშნული ადვოკატის მიერ, ისევე როგორც თარჯიმნის მიერ, თუმცა დოკუმენტში არ აყო აღნიშნული ინფორმაცია მომჩივანის მიერ იურიდიული დახმარების მიღების არჩევასთან დაკავშირებით (შეადარეთ საქმეს *რუსიშვილი საქართველოს წინააღმდეგ*, no. 15269/13, § 41, 30 ივნისი 2022). ევროსასამართლო საჭიროდ არ მიიჩნევს ლ.რ.-ის დანიშვნასთან დაკავშირებული გარემოებების განხილვას, იმ ფაქტის




EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

გათვალისწინებით, რომ მომჩივანს არ გამოუხატავს რაიმე პრეტენზია საქმის სამართლიანი განხილვის უფლებასთან მიმართებით, იმ პერიოდის განმავლობაში როცა ლ.რ. ფორმალურად მისი წარმომადგენელი იყო.

35. რაც შეეხება ბ.ბ.-ის დანიშვნას, საქმეში არ არის წარმოდგენილი არც ერთ დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს, რომ მომჩივანი ინფორმირებული იყო იურიდიული დახმარების ფარგლებში დანიშნული მეორე ადვოკატის თაობაზე (იხ. *Elif Nazan Şeker v. Turkey*, no. 41954/10, § 54, 8 March 2022; ასევე იხ. *Lobzhanidze and Peradze v. Georgia*, nos. 21447/11 and 35839/11, §§ 86-87, 27 თებერვალი 2020). როდესაც მთავრობამ მიმართა იურიდიული დახმარების სამსახურს, რომელსაც იმ დროისათვის ჰქონდა ერთ საქმეზე ერთდროულად ორი ადვოკატის დანიშვნის პრაქტიკა, იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებითი ბარათიდან გამოჩნდა, რომ ბ.ბ.-ს ბოლო წუთს სთხოვეს მოწმეთა დაკითხვის ეტაპზე ლ.რ.-ს ჩანაცვლება (იხ. ზემოთ პარაგრაფი 31). სისხლის სამართლის პროცესის დროს მხარეების იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფის ვალდებულების შესრულებისას, როდესაც ამას ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობა, სახელმწიფომ უნდა გამოიჩინოს გულმოდგინება იმისათვის, რომ დაიცვას ხსენებულ პირთა მიერ მე-6 მუხლით გარანტირებული უფლებებით რეალურად და ეფექტიანად სარგებლობის უფლება (იხ. *R.D. v. Poland*, nos. 29692/96 და 34612/97, § 44, 18 დეკემბერი 2001; ასევე იხ. *Blokhin v. Russia* [GC], no. 47152/06, § 214, 23 მარტი 2016, რომელშიც სასამართლომ აღნიშნა, რომ გაუგებარი იყო როდის დაენიშნა იურიდიული დახმარების ადვოკატი მომჩივანს და რამდენად ნამდვილად დაიცვა მომჩივანის უფლებები). პროცედურამ, რომლის საფუძველზეც მომჩივანის საქმეში დაინიშნა ბ.ბ., ვერ დააკმაყოფილა გულმოდგინების ზემოხსენებული კრიტერიუმი, რამაც განაპირობა მომჩივანის მიერ ადვოკატზე წვდომის უფლების შეზღუდვა.

36. პროცედურული ხარვეზის გავლენის შეფასებისას, ევროსასამართლო აღნიშნავს, რომ არ არსებობს რაიმე მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ბ.ბ.-მ მომჩივანს მიაწოდა ინფორმაცია 2016 წლის 4 აგვისტოს გამართული მოწმეთა დაკითხვის თაობაზე ან იმის შესახებ, რომ იგი მომჩივანის სახელით იღებდა მონაწილეობას ამ პროცედურაში. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ მიუთითა ჩანაწერზე, რომლის თანახმად, ბ.ბ.-მ დაადასტურა, რომ წინასწარ დაეკონტაქტა მომჩივანს, ევროსასამართლო ამ განცხადებას ნაკლებად დამაჯერებლად მიიჩნევს იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებითი ბარათის (იხ. ზემოთ პარაგრაფი 31) შინაარსიდან და შესაბამისი მოვლენების ქრონოლოგიიდან გამომდინარე, განსაკუთრებით იმ მოკლე ინტერვალიდან, რომლის დროსაც, ერთ დღეს იქნა დაკითხვა მოთხოვნილი, დაკმაყოფილებული და ჩატარებული. სასამართლო პროცესის განმავლობაში მომჩივანის არგუმენტაცია, არ ყოფილა განხილული ეროვნული სასამართლოების მიერ. ევროსასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მთავრობას კომენტარი არ გაუკეთებია მომჩივანის განცხადებაზე, რომ მის მიერ სამართალწარმოების დროს წარდგენილი დოკუმენტი (იხ. ზემოთ პარაგრაფი 29), რომელიც შეიცავდა ინფორმაციას



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

შესაბამის პერიოდში მობილურ ტელეფონზე შემავალი და გამავალი ზარების შესახებ, ადასტურებდა რომ მას ბ.ბ. არ დაკავშირებია.


37. მთავრობა ამტკიცებდა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ბ.ბ.-ის ქმედება იყო საკითხი, რომელიც თავად მომჩივანს უნდა გადაეწყვიტა, და აცხადებდა, რომ სახელმწიფო არ უნდა ჩარეულიყო ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობაში. ევროსასამართლო ვერ გაიზიარებს ამ არგუმენტს იმ ვითარებაში, როდესაც მომჩივანი ინფორმირებულიც კი არ ყოფილა ბ.ბ.-ის დანიშვნის თაობაზე, ადვოკატის, გამომძიებლის, ან იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ. როგორც ევროსასამართლოს მიერ არაერთხელ აღინიშნა, ბრალდებულისთვის მხოლოდ ადვოკატის დანიშნვა ვერ უზრუნველყოფს ეფექტიან დახმარებას (იხ. *Artico v. Italy*, 13 მაისი 1980, § 33, Series A no. 37, და *Elif Nazan Şeker*, ციტირებული ზემოთ, § 55).

38. ევროსასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ ბრალდების ორი მთავარი მოწმე - სავარაუდო დაზარალებული და მისი და - დაკითხულ იქნენ მომჩივნის და მისთვის ოფიციალურად დანიშნული ადვოკატის ლ.რ.-ის დასწრების გარეშე. მათი ჩვენებები მტკიცებულების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა, რომლის საფუძველზეც მოხდა მომჩივნის საბოლოო მსჯავრდება (იხ. ზემოთ პარაგრაფი 20; შეადარეთ *Rusishvili*, ციტირებული ზემოთ, § 41 *in fine*) მიუხედავად მომჩივანისა და მის მიერ არჩეული ადვოკატის მიერ გამოხატული წინააღმდეგობისა (იხ. ზემოთ პარაგრაფი 14). ასეთ გარემოებებში, ამ კონკრეტული პროცედურული ეტაპის მნიშვნელობის გათვალისწინებით და მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში მომჩივანი სათანადოდ იყო წარმოდგენილი მისი მიერ არჩეული ადვოკატის მიერ, ევროსასამართლო მიიჩნევს, რომ ბ.ბ.-ის დანიშვნის პროცედურამ და მომჩივანის გარეშე მოწმეთა დაკითხვაში მისმა მონაწილეობამ, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მომჩივანის დაცვის უფლებაზე. თუმცა ვიდრე სამართალწარმოების საერთო სამართლიანობის შეფასება მოხდება, ევროსასამართლო განიხილავს საჩივარს, დაუსწრებელი მოწმეების მიერ მიცემული ჩვენებების მტკიცებულებად გამოყენების თაობაზე.

2. დაუსწრებელი მოწმეების მიერ მიცემული ჩვენებების მტკიცებულებად გამოყენება

(ა) მხარეთა წარდგინებები

39. მომჩივანი დავობდა, რომ სამართალწარმოების არც ერთ ეტაპზე არ მისცემია ბრალდების დაუსწრებელ მოწმეთა დაკითხვის შესაძლებლობა და რომ დაზარალებულისა და მისი დის დაკითხვა მაგისტრატის მოსამართლის წინაშე განხორციელდა მისი ინფორმირების გარეშე. მომჩივანმა აღნიშნა, რომ აღნიშნული მტკიცებულება გადამწყვეტი იყო მისი მსჯავრდებისთვის და რომ ამ მტკიცებულების გარდა საქმეში არ იყო წარმოდგენილი რაიმე



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

სხვა მტკიცებულება მის წინააღმდეგ. ამასთან, მომჩივანი დავობდა, რომ გონივრული ძალისხმევა არ გაწეულა იმისათვის, რომ საქმის განხილვის დროს მომხდარიყო ბრალდების 5 მოწმის დაკითხვა.

40. მთავრობა ამტკიცებდა, რომ ბრალდების მოწმეთა დაუსწრებლობა განაპირობა იმან, რომ ყველა მათგანი აზერბაიჯანის მოქალაქე იყო და სადავო ინციდენტის შემდეგ მალევე დაბრუნდნენ სამშობლოში. სასამართლოში საქმის განხილვის მანძილზე, მთავრობის მტკიცებით, პროკურატურამ რამდენჯერმე სცადა ხსენებულ მოწმეებთან დაკავშირება, თუმცა უშედეგოდ. შესაბამისად, ეროვნული სასამართლოები სწორად მოიქცნენ, როდესაც დაუსწრებელი მოწმეების მიერ სამართალწარმოების წინასწარ ეტაპზე მიცემული ჩვენებების შეფასება გადაწყვიტეს. მეტიც, ბრალდების ორი მთავარი მოწმის დაკითხვა წინასწარ დაორგანიზდა, მათ გამგზავრებამდე, მაგისტრატი მოსამართლის თანდასწრებით და დაცვის მხარის მონაწილეობით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის შესაბამისად. მოწმეთა დაკითხვის ასეთმა პროცედურამ შესაძლებლობა მისცა დაცვის მხარეს კითხვები დაესვა ორი მოწმისთვის მაგისტრატი მოსამართლის თანდასწრებით და შესაბამისად დაეაბალანსებინა საქმის განხილვის ეტაპზე მოწმეთა დაუსწრებლობა. ამ მოცემულობის მხედველობაში მიღებით, ეს მტკიცებულება სასამართლოს მიერ უნდა ყოფილიყო მიჩნეული სასამართლოში მიცემული მტკიცებულების თანასწორ მტკიცებულებად.


41. ამასთან, მთავრობა ამტკიცებდა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, სადავო მოწმეთა განცხადებები არ აკმაყოფილებდა ტესტს, რომ აღნიშნული წარმოადგენდა მსჯავრდებისათვის ერთადერთ ან გადამწყვეტ მტკიცებულებას. უზენაესი სასამართლო ასევე დაეყრდნო დაზარალებულის სამედიცინო გამოკვლევის შედეგებს და მ.პ.-ს სასამართლო წესით შემოწმებულ მტკიცებულებას იმისათვის, რომ გაემყარებინა დასკვნა მომჩივანის ბრალეულობის შესახებ.

**(ბ) ევროსასამართლოს შეფასება**

*(i) ზოგადი პრინციპები*

42. შესაბამისი ზოგადი პრინციპები, რომელიც ასახულია საქმეებში *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom* ([GC], nos. 26766/05 and 22228/06, ECHR 2011) და *Schatschaschwili* (cited above), შეჯამებულ იქნა საქმეში *Báték and Others v. the Czech Republic* (no. 54146/09, §§ 36-40, 12 January 2017).





EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME


(ii) ზემოაღნიშნული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

43. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის მსჯავრდების მიზნით უზენაესი სასამართლო დაეყრდნო ორი დაუსწრებელი მოწმის, კერძოდ, სავარაუდო მსხვერპლის და მისი დის განცხადებებს, მეზობლის მიერ სასამართლოში გაკეთებულ განცხადებას და მსხვერპლის სამედიცინო დასკვნას. სხვა სამი დაუსწრებელი მოწმის მიერ მიცემული ჩვენება, რომლებიც მხოლოდ გამომძიებლის მიერ იქნენ დაკითხულნი, უზენაეს სასამართლოს არ უხსენებია (იხ. ზემოთ პარაგრაფი 20). კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-3 პუნქტის (დ) ქვეპუნქტის საფუძველზე, ევროსასამართლო წინამდებარე საჩივარში შემოიფარგლება სავარაუდო დაზარალებულისა და მისი დის ჩვენებების გამოყენების შეფასებით.

44. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ მაშინ, როცა დაცვის მხარემ გამოხატა თანხმობა, სასამართლოში წაეკითხათ დაზარალებულისა და მისი დის მიერ სასამართლომდე გაკეთებული განცხადებები, აღნიშნული მომჩივანის მხრიდან შეიძლება აღქმულ იქნას როგორც ხსენებული მოწმეების სასამართლოში დაკითხვის უფლებაზე გამოხატული უარი, (იხ. *Murtazaliyeva v. Russia* [GC], no. 36658/05, §§ 119-20, 18 დეკემბერი 2018), მათი დაკითხვა მოსალოდნელი იყო, ვინაიდან ისინი იყვნენ ბრალდების მოწმეთა სიაში, რომლებიც დაშვებულ იქნენ სასამართლოში დასაკითხად (იხ. ზემოთ პარაგრაფი 13 და 15). ამასთან, ეროვნული სასამართლოების წინაშე მომჩივანი დავობდა, რომ მას არ ჰქონდა შესაძლებლობა დაეკითხა ხსენებული მოწმეები საქმის სასამართლოში განხილვის დროს ხოლო საბოლოოდ მოითხოვა მათ მიერ სასამართლომდე წარდგენილი მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა (იხილეთ, *ibid.* Contrast *Murtazaliyeva*, cited above, §§ 123 and 126; შეადარეთ *Makeyev v. Russia*, no. 13769/04, § 37, 5 February 2009, *Gabrielyan v. Armenia*, no. 8088/05, § 85, 10 April 2012, and *Palchik v. Ukraine*, no. 16980/06, § 36, 2 March 2017). ასეთ ვითარებაში, ევროსასამართლო ვერ მიიჩნევს, რომ მომჩივანმა ცალსახად უარი თქვა საკუთარ უფლებაზე დაეკითხა მოწმეები.

(ა) არსებობდა თუ არა საკმარისი საფუძველი ბრალდების ორი მოწმის სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიუღებლობასთან დაკავშირებით

45. პირველ საკითხთან მიმართებით, არსებობდა თუ არა საკმარისი საფუძველი ბრალდების ორი მოწმის მიერ სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიუღებლობასთან დაკავშირებით, ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ ერთადერთი მიზეზი, რაც ეროვნულმა სასამართლოებმა მიიღეს მხედველობაში იყო ის, რომ ისინი აზერბაიჯანლები იყვნენ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე და 243-ე მუხლებზე დაყრდნობით, საქმის განმხილველმა სასამართლომ მათი გამოკითხვის ოქმები მტკიცებულების სახით დასაშვებად მიიღო საქმის გამოკვლევის ეტაპზე (იხ. ზემოთ პარაგრაფი 14).




EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

46. როგორც არაერთხელ აღნიშნა, მოწმის საზღვარგარეთ გამგზავრება არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს სასამართლო პროცესში მისი დაუსწრებლობის გასამართლებლად (იხ. *Seton v. the United Kingdom*, no. 55287/10, § 61, 31 მარტი 2016; ასევე იხ. *Gabrielyan*, ციტირებული ზემოთ, § 81; *Paić v. Croatia*, no. 47082/12, § 38, 29 მარტი 2016; და *Al Alo v. Slovakia*, no. 32084/19, §§ 48-52, 10 თებერვალი 2022). ბრალდების მოწმეების დაუსწრებლობასთან დაკავშირებულ საქმეებთან მიმართებით, ევროსასამართლომ უნდა გამოიკვლიოს გამოიყენეს თუ არა შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა ყველგავრი გონივრული ძალისხმევა, მოწმის დასწრების უზრუნველსაყოფად (იხ. *Schatschaschwili*, ციტირებული ზემოთ, § 120). ამ საკითხთან დაკავშირებით ევროსასამართლო აღნიშნავს, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლომ საკმარისად მიიჩნია საზღვრის გადაკვეთის ჩანაწერები, რომელიც ადასტურებდა იმას, რომ მოწმეებმა ქვეყანა დატოვეს. საქმის გარემოებებიდან გაურკვეველია თუ რა კონკრეტული ზომები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მიიღეს ეროვნულმა ორგანოებმა სამართალწარმოების დროს მოწმეთა დასწრების უზრუნველსაყოფად, მაშინაც კი როცა მათი ადგილსამყოფელი არ იყო უცნობი (შეადარეთ *Schatschaschwili*, ციტირებული ზემოთ, §§ 133-37)

47. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს განეხილათ მომჩივნის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მას არავინ წარმოადგენდა მაშინ როდესაც განხორციელდა ორი დაუსწრებელი მოწმის დაკითხვა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის პირველი ნაწილის (ბ) პუნქტის გათვალისწინებით. ეს უდიდესი მნიშვნელობის მქონე არგუმენტია, ვინაიდან მიუთითებდა იმპერატიულ მიზეზზე დაუსწრებელ მოწმეთა სასამართლო პროცესზე დასწრების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. ამ გარემოების გათვალისწინებით, ევროსასამართლომ ადგენს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არსებული სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში, არ გასწიეს გონივრული ძალისხმევა, ბრალდების ორი მოწმის დასწრების უზრუნველსაყოფად. ამდენად, ევროსასამართლომ დაასკვნა, რომ არ არსებობდა მათი დაუსწრებლობის რაიმე დადებითი მიზეზი.

(β) იყო თუ არა დაუსწრებელ მოწმეთა მტკიცებულებები ერთადერთი ან გადამწყვეტი საფუძველი მომჩივნის მსჯავრდებისათვის

48. რაც შეეხება იმას, იყო თუ არა სავარაუდო დაზარალებულისა და მისი დის მიერ 2016 წლის 4 აგვისტოს მოსამართლის წინაშე მიცემული და შემდეგ სასამართლო სხდომაზე წაკითხული მტკიცებულება ერთადერთი ან გადამწყვეტი საფუძველი მომჩივნის მსჯავრდებისათვის, ევროსასამართლომ შენიშნა, რომ პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ მათი მტკიცებულება გადამწყვეტი იყო (იხ. ზემოთ პარაგრაფი 17 და 18) უზენაესმა სასამართლომ კი, როდესაც იგი მიუთითებდა დამატებით მტკიცებულებებზე, არ



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME


ჩანს რომ განსხვავებული პოზიცია გააჩნდა მათ გადამწყვეტ ბუნებაზე (იხ. ზემოთ პარაგრაფი 20). დამატებითი ორი მტკიცებულება, რომელსაც უზენაესი სასამართლო დაეყრდნო მომჩივნის მსჯავრდებისას, იყო მეზობელი მოწმის, მ.პ.-ის, განცხადება, რომელმაც მხოლოდ დაადასტურა, რომ მომჩივანსა და დაზარალებულს შორის ჩხუბი მოხდა, თუმცა მას არაფერი დაუწახავს (იხ. ზემოთ პარაგრაფი 16), და იმ დაზიანების სამედიცინო დასკვნა, რომელიც დაზარალებულმა მიიღო (იხ. ზემოთ პარაგრაფი 5). თუმცა, უზენაესმა სასამართლომ არ იმსჯელა იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ სამედიცინო დასკვნაში არსებული სხვადასხვა დაზიანება, მომჩივანმა ერთი და იგივე ინციდენტის შედეგად მიიღო (იხ. ზემოთ პარაგრაფები 6 და 18).

49. ეროვნული სასამართლოების დასკვნების გათვალისწინებით, დაუსწრებელი მოწმეების მტკიცებულებათა შეფასებისას, მათ შორის სხვა ხელმისაწვდომი მტკიცებულებების მხედველობაში მიღებით, რომლებიც ადასტურებდა ჩხუბის ფაქტს, არ იყო იმთავითვე მომჩივანის დამნაშავედ ცნობისთვის გადამწყვეტი, ევროსასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო შემთხვევათა დაკავშირებით სავარაუდო დაზარალებულისა და მისი დის მტკიცებულება, რომელიც შეესწრო ამ ინციდენტს, იყო სულ მცირე „გადამწყვეტი“ მომჩივანის მსჯავრდებისათვის.

(γ) არსებობდა თუ არა საკამრისი დამაბალანსებელი ფაქტორი იმ ხელისშემშლელი პირობების საკომპენსაციოდ, რომლის გარშემო დაცვის მხარეს უწევდა მუშაობდა

50. რაც შეეხება იმ დამაბალანსებელ ფაქტორებს, რომლებსაც შეეძლოთ იმ ხელისშემშლელი პირობების კომპენსირება, რომლებმაც განაპირობა მომჩივანის შეუძლებლობა დაპირისპირებოდა ბრალდების მოწმეს და პირადად დაეკითხა იგი სასამართლო სხდომაზე, ევროსასამართლო აღნიშნავს, რომ ამ კონტექსტში შემდეგი მნიშვნელოვანი ელემენტები იქნა იდენტიფიცირებული: საქმის განმხილველი სასამართლოს მიდგომა გადაუმოწმებელი მტკიცებულებისადმი; ბრალდებისთვის სხვა მტკიცებულების ხელმისაწვდომობა და სიძლიერე; პროცედურული ღონისძიებები, რომლებიც განხორციელებულ იქნა მოწმის პირდაპირ სასამართლო პროცესზე დაკითხვის შესაძლებლობის არქონის საკომპენსაციოდ (იხ. *Schatschaschwili*, ციტირებული ზემოთ, §§ 125-31 და 145).


51. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანს ჰქონდა შესაძლებლობა 2016 წლის 26 ივლისს მომხდარი მოვლენების საკუთარი ვერსია გადმოეცა და ამით ეჭვქვეშ დაეყენებინა მთავარი ბრალდების მოწმეების სანდოობა.



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

52. რაც შეეხება გადაუმოწმებელი მტკიცებულებისადმი ეროვნული სასამართლოების მიდგომას, ევროსასამართლო აღნიშნავს, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის გაკეთებული რაიმე მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ ის რაიმე განსაკუთრებული სიფრთხილით მიუდგა დაზარალებულისა და მისი დის განცხადებებს ან ნაკლები მნიშვნელობა მიანიჭა მათ განცხადებებს (შეადარეთ მაგალითად, *Al-Khawaja and Tahery*, ციტირებული ზემოთ, § 157, და *Bobes v. Romania*, no. 29752/05, § 46, 9 ივლისი 2013). ამის საპირისპიროდ, სასამართლომ მომჩივანის მსჯავრდება ძირითადად მათ განცხადებებზე დააფუძნა, მოწმეთა სანდოობის ან მათი მტკიცებულების საიმედოობის გამოკვლევის გარეშე (საწინააღმდეგო *Schatschaschwili*, ციტირებული ზემოთ, §§ 148-50; შეადარეთ *Brzuszczyński v. Poland*, no. 23789/09, §§ 86 და 89, 17 სექტემბერი 2013; *Prájiná v. Romania*, no. 5592/05, § 59, 7 იანვარი 2014; და *Nikolitsas v. Greece*, no. 63117/09, § 37, 3 ივლისი 2014), უფრო მეტიც აღნიშნული განიხილა სასამართლოს მიერ შემოწმებულ მტკიცებულებად (იხ. ზემოთ პარაგრაფი 20). ამ უკანასკნელთან მიმართებაში, ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ მოწმის განცხადება, რომელიც მიღებულ იქნა მაგისტრატი (გამომძიებელი) მოსამართლის თანდასწრებით არ შეიძლება ჩაითვალოს მომჩივანის უფლების ჩამნაცვლებლად დაკითხოს ეს მოწმე საქმის განმხილველი მოსამართლის თანდასწრებით, რომელიც საბოლოოდ განიხილავს მისი დამნაშავეობის საკითხს (იხ. *Schatschaschwili*, ციტირებული ზემოთ, § 155; ასევე იხ. *Hümmer v. Germany*, no. 26171/07, § 48, 19 ივლისი 2012; *Hanu v. Romania*, no. 10890/04, § 40, 4 ივნისი 2013 *in fine*; and *Dadayan v. Armenia*, no. 14078/12, § 46, 6 სექტემბერი 2018; ასევე იხ., *mutatis mutandis*, *Faysal Pamuk v. Turkey*, no. 430/13, §§ 70-71, 18 იანვარი 2022).

53. რაც შეეხება პროცედურულ ღონისძიებებს, რომლებიც მიღებულ იქნა მოწმის პირდაპირ სასამართლო პროცესზე დაკითხვის შესაძლებლობის არქონის საკომპენსაციოდ, ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ დაზარალებული და მისი და, ბრალდების ორი მთავარი მოწმე, დაკითხულ იქნენ მაგისტრატი მოსამართლის თანდასწრებითა და ბრალმძებელისა და იურიდიული დახმარების ადვოკატის - ბ.ბ.-ს მონაწილეობით, წინასწარი გამომძიებლის ეტაპზე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად. ჩვეულებრივ ვითარებაში, ევროსასამართლო აღნიშნულ პროცედურას დაცვის ძლიერ მექანიზმად მიიჩნევდა ბრალდებულისათვის, რომელსაც არ შეუძლია მოწმეთა დაკითხვა სასამართლო პროცესზე (იხ. *Schatschaschwili*, ციტირებული ზემოთ, § 155; შეადარეთ *Gani v. Spain*, no. 61800/08, § 44, 19 თებერვალი 2013). თუმცა, 34-38-ე პარაგრაფებში გაკეთებული დასკვნების შესაბამისად, იმის მხედველობაში მიღებით თუ როგორ მოხდა ბ.ბ.-ის დანიშნვა და მის მიერ, მომჩივანის გარეშე, მნიშვნელოვან პროცედურაში მონაწილეობა, ევროსასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანს არ მიეცა შესაძლებლობა




EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ესარგებლა ამ პროცედურული დაცვის შესაძლებლობით (შეადარეთ *Schatschaschwili*, ციტირებული ზემოთ, § 155; ასევე იხ. *Hümmer*, ციტირებული ზემოთ, § 48).

54. ევროსასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ გამოძიების ეტაპზე ბრალდების მოწმეთა დაკითხვა დიდი მნიშვნელობის მატარებელია და შესაძლოა ზიანი მიაყენოს თავად სასამართლო პროცესის სამართლიანობას, სადაც მთავარი მოწმეები ვერ იქნებიან დაკითხულნი საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ და შესაბამისად გამოძიების ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულება წარდგენილ იქნება პირდაპირ სასამართლო პროცესზე. ასეთ ვითარებაში მთლიანი პროცესის სამართლიანობისათვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დადგინდეს, გამოძიების ეტაპზე, მოწმეთა დაკითხვისას, მოქმედებდნენ თუ არა ხელისუფლების ორგანოები იმ ვარაუდით, რომ მოწმეების დაკითხვა არ მოხდებოდა სასამართლო პროცესზე. საიდან გაუჩნდა საგამოძიებო ორგანოს გონივრული ეჭვი, რომ მოწმეები ვერ დაიკითხებოდნენ სასამართლო პროცესზე. მაშინ როცა საგამოძიებო ორგანოები გონივრულად მიიჩნევენ, რომ ვერ მოხდება მოწმის დაკითხვა საქმის განმხილველ სასამართლოში, დაცვის მხარისათვის აუცილებელია გამოძიების ეტაპზე მიეცეს მოწმისათვის კითხვების დასმის შესაძლებლობა (იხ. *Schatschaschwili*, ციტირებული ზემოთ, §§ 156-57). ევროსასამართლო ეთანხმება მომჩივანს იმასთან დაკავშირებით, რომ ორი მოწმე მაგისტრატი მოსამართლის მიერ იმიტომ დაიკითხა, რომ ბრალდების მხარის მოსაზრებით, მოწმეების აზერბაიჯანში გარდაუვალი დაბრუნების გამო არსებობდა მტკიცებულების დაკარგვის საფრთხე. აღნიშნული გამომდინარეობს ბრალმდებლის მიერ მაგისტრატი მოსამართლისათვის წარდგენილი ორი მოწმის დაკითხვის შესახებ მოთხოვნის დასაბუთებიდან (იხ. ზემოთ პარაგრაფი 10). ამგვარ ვითარებაში, მეტად მნიშვნელოვანი იყო, შესაბამის ორგანოებს მომჩივნისთვის მიეცათ შესაძლებლობა, ორი მთავარი მოწმე გამოძიების ეტაპზე დაეკითხა მისი თანდასწრებით, ან/და მის მიერ არჩეული ადვოკატის მონაწილეობით, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. თავიანთი ქმედებით, მათ შექმნეს მოსალოდნელი რისკი, რაც შემდგომში ასეც მოხდა, რომ ბრალდებული ვერ შეძლებდა სამართალწარმოების ვერც ერთ ეტაპზე დაზარალებულისა და მისი დის დაკითხვას (იხ. გამომძიებელი მოსამართლის მიერ ბრალდების მოწმეთა დაკითხვაზე ადვოკატის დასწრების მნიშვნელობის საკითხზე იხილეთ საქმე *Hümmer*, ციტირებული ზემოთ, §§ 43 and 48).

55. დასასრულს, ევროსასამართლო აღნიშნავს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა სასამართლო პროცესის განმავლობაში ვერ ნახეს მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმეთა დაკითხვის ვიდეო ჩანაწერი, რადგან ასეთი ჩანაწერი არ მომზადებულა (იხ. პარაგრაფი 11 ზემოთ). როგორც აღინიშნა საქმეში *Schatschaschwili* (ციტირებული ზემოთ § 127), საქმის განმხილველი სასამართლოები სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში მიმართავენ ამ



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

შესაძლებლობას, რაც სასამართლოს, დაცვის და ბრალდების მხარეს, შესაძლებლობას აძლევს დააკვირდნენ დასაკითხი მოწმის ქცევას და შეიქმნან ნათელი წარმოდგენა მის სანდოობასთან დაკავშირებით. წინამდებარე საქმეში, არც მომჩივანს და არც მოსამართლეს არ ჰქონიათ ამგვარი შესაძლებლობა (იხ. მაგალითად, *Blokhin*, ციტირებული ზემოთ, § 215; ასევე იხ. *Chernika v. Ukraine*, no. 53791/11, § 73, 12 მარტი 2020).

*(iii) სასამართლო პროცესის სამართლიანობის შეფასება მთლიანობაში*

56. სასამართლო პროცესის სამართლიანობის მთლიანობაში შეფასებისას, ევროსასამართლომ მხედველობაში მიიღო ყველა ზემოთხსენებული გარემოება, განსაკუთრებით, ბ.ბ.-ის დანიშვნის გარემოებები და მომჩივნის გარეშე მისი მონაწილეობა მოწმის დაკითხვაში. ამასთან, ორი დაუსწრებელი მოწმის მტკიცებულების გადამწყვეტი ბუნება, ბრალდების სხვა მტკიცებულების და პროცედურული ღონისძიებების ნაკლებობა, რომლებსაც შესაძლებელია კომპენსირება მოხდინა მომჩივნის მიერ მოწმის პირადად დაკითხვის შესაძლებლობის არქონაზე, ევროსასამართლო მიიჩნევს რომ აღნიშნულმა იმდენად უარყოფითად იმოქმედა მომჩივანის დაცვის უფლებაზე რომ მთლიანობაში შეასუსტა სამართალწარმოების სამართლიანობა. შესაბამისად, ევროსასამართლო ადგენს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტისა და მე-3 პუნქტის (ვ) და (დ) ქვეპუნქტების დარღვევას.

II. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება


57. კონვენციის 41-ე მუხლი ადგენს:

„თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

**A. ზიანი**

58. მომჩივანმა მოითხოვა 5,000 ევრო (ევრო) არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

59. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივანმა ვერ შეძლო ემოციური ტრავმის მიღების წარმოჩენა, რომელიც მისი განცხადებით სადავო სისხლისსამართლებრივმა სამართალწარმოებამ განაპირობა. პირიქით, მთავრობა ამტკიცებდა, რომ უშუალოდ დარღვევის დადგენა



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

წარმოადგენდა მომჩივნისთვის მიყენებული ნებისმიერი არამატერიალური ზიანის დაკმაყოფილებას.

60. დადგენილი დარღვევის ხასიათის მხედველობაში მიღებით, ევროსასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ მომჩივანმა განიცადა არამატერიალური ზიანი, რომლის კომპენსირება შეუძლებელია მხოლოდ დარღვევის დადგენით. ევროსასამართლო, სამართლიანი (თანასწორი) შეფასებით, მომჩივანს მიაკუთვნებს 1,200 ევროს არამატერიალური ზიანისთვის და ნებისმიერ გადასახადს, რომელიც შეიძლება ამ თანხასთან იყოს დაკავშირებული.